



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება N03

2018 წლის 29 იანვარი

ქ. ქობულეთი

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს,

მუხლი 1.

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №28 დადგენილებაში (სსმ 01.01.2018 წ. სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.131.016222) შეტანილ იქნას ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე



დ.მჭედლიშვილი

მუხლი 2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება:

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით.

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
	მათ შორის საკუთარი შემოსავლები	სულ		მათ შორის საკუთარი შემოსავლები	მათ შორის		საკუთარი შემოსავლები	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები			
შემოსულობები	33473247	31992147	1 481 100	32670753	32670753	-	27 770 080	27 770 080	-
შემოსავლები	33 412 115	31 931 015	1 481 100	32 670 753	32 670 753	-	27 770 080	27 770 080	-
არაფინანსური აქტივების კლება	61 132	61 132	-	-	-	-	-	-	-
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	-	-	-	-	-	-	-	-	-
ვალდებულებების ზრდა	-	-	-	-	-	-	-	-	-
გადასახდელები	34467147	33 246 482	1 220 664	34885580	34 625 144	260 436	28 478 226	28 478 226	-
ხარჯები	14 684 918	14 684 238	680	12 884 947	12 884 947	-	12 322 859	12 322 859	-
არაფინანსური აქტივების ზრდა	18 595 277	17 375 293	1 219 984	21 120 110	20 859 674	260 436	15 299 486	15 299 486	-
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	250 000	250 000	-	52 100	52 100	-	44 200	44 200	-
ვალდებულებების კლება	936 952	936 952	-	828 423	828 423	-	811 681	811 681	-
ნაშთის ცვლილება	-993900	-1254335	260 436	-2214827	-1954391	-260436	- 708 146	- 708 146	-

მუხლი 3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 27 770 080 ლარის ოდენობით.

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
	მათ შორის საკუთარი შემოსავლები	სულ		მათ შორის საკუთარი შემოსავლები	მათ შორის საკუთარი შემოსავლები		სულ	მათ შორის საკუთარი შემოსავლები	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები			
შემოსავლები	33 412 115	31 931 015	1 481 100	32 670 753	32 670 753	-	27 770 080	27 770 080	-
გადასახდელები	4 904 285	4 904 285	-	5 050 000	5 050 000	-	4 000 000	4 000 000	-
გრანტები	26 403 907	24 922 807	1 481 100	25 634 300	25 634 300	-	21 690 000	21 690 000	-
სხვა შემოსავლები	2 103 923	2 103 923	-	1 986 453	1 986 453	-	2 080 080	2 080 080	-

ა) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები
 განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 4 000 000 ლარის ოდენობით.

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
გადასახადები	4 904 285	5 050 000	4 000 000
საშემოსავლო გადასახადი	1 031 767	1 150 000	1 000 000
ქონების გადასახადი	3 872 518	3 900 000	3 000 000

ბ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები
 განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 21 690 000 ლარის ოდენობით.

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
გრანტები	26 403 907	24 922 807	1 481 100	25 634 300	25 634 300	-	21 690 000	21 690 000	-
სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	26 403 907	24 922 807	1 481 100	25 634 300	25 634 300	-	21 690 000	21 690 000	-
საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერი	5 868 400	5 868 400		4 894 300	4 894 300	-	6 443 200	6 443 200	
სპეციალური ტრანსფერი	3 429 847	1 948 747	1 481 100	-	-	-	-	-	-
მ.შ. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	1 481 100		1 481 100	-	-	-	-	-	-
მ.შ. აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი	1 948 747	1 948 747		-	-	-	-	-	-
კაპიტალური ტრანსფერი	17 105 660	17 105 660		20 740 000	20 740 000	-	15 246 800	15 246 800	
აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი	17 105 660	17 105 660		20 740 000	20 740 000	-	15 246 800	15 246 800	

გ). მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები
 განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2 080 080 ლარის ოდენობით.

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	2 103 923	1 986 453	2 080 080
შემოსავლები საკუთრებიდან	648 496	526 061	546 380
პროცენტები	262 757	169 580	169 580
დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	262 757	169 580	169 580
რენტა	385 739	356 481	376 800
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	54 105	50 000	70 000
შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	331 634	306 481	306 800
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	502 291	385 000	430 000
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	414 938	350 000	395 000
სანებართვო მოსაკრებელი	156 635	60 000	105 000
მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	156 635	60 000	105 000
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	356	-	-
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	257 947	290 000	290 000
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	87 353	35 000	35 000
შემოსავალი მომსახურების გაწვიდან	87 353	35 000	35 000
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	706 922	900 000	1 003 700
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	246 214	175 392	100 000

მუხლი 4 . მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 12 322 859 ლარის ოდენობით თანადართული რედაქციით.

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
ხარჯები	14 684 918	14 684 238	680	12 884 947	12 884 947	-	12 322 859	12 322 859	-
შრომის ანაზღაურება	6 426 253	6 426 253	-	6 071 036	6 071 036	-	6 638 930	6 638 930	-
საქონელი და მომსახურება	3 240 392	3 240 392	-	4 308 558	4 308 558	-	4 003 935	4 003 935	-
პროცენტი	360 560	360 560	-	314 458	314 458	-	289 578	289 578	-
სუბსიდიები	515 694	515 694	-	509 101	509 101	-	440 878	440 878	-
გრანტები	250 000	250 000	-	-	-	-	-	-	-
სოციალური უზრუნველყოფა	1 527 328	1 527 328	-	815 507	815 507	-	746 428	746 428	-
სხვა ხარჯი	2 364 692	2 364 012	680	866 287	866 287	-	203 110	203 110	-

მუხლი 5 . მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 15 299 486 ლარის ოდენობით მათ შორის.
ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 15 299 486 ლარის ოდენობით, თანადართული რედაქციით.

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	56 331	56 331	-	7 218	7 218	-	3 000	3 000	-
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	13 050	13 050	-	-	-	-	-	-	-
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	15 599 124	14 379 139	1 219 984	18 734 405	18 473 969	260 436	14 565 289	14 565 289	-
განათლება	2 234 067	2 234 067	-	1 761 103	1 761 103	-	724 167	724 167	-
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	690 370	690 370	-	607 997	607 997	-	4 000	4 000	-
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2 335	2 335	-	9 387	9 387	-	3 030	3 030	-
ჯამი	18 595 277	17 375 293	1 219 984	21 120 110	20 859 674	260 436	15 299 486	15 299 486	-

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 0 ლარის ოდენობით,

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
არაფინანსური აქტივების კლება	61132	61132	-	-	-	-	-	-	-
ძირითადი აქტივები	61132	61132	-	-	-	-	-	-	-

მუხლი 6 . მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა **27 622 345** ფუნქციონალურ კრილში, თანადართული რედაქციით.

(ლარი)

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	3 230 063	3 230 063	0	2 613 086	2 613 086	0	3 072 634	3 072 634	0
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 242 954	2 242 954	0	2 297 008	2 297 008	0	2 783 056	2 783 056	0
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 055 204	2 055 204	0	1 958 285	1 958 285	0	2 676 556	2 676 556	0
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	187 750	187 750	0	338 723	338 723	0	106 500	106 500	0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	986 299	986 299	0	314 458	314 458	0	289 578	289 578	0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	810	810	0	1 620	1 620	0	0	0	0
702	თავდაცვა	127 049	127 049	0	107 484	107 484	0	114 746	114 746	0
7021	შეიარაღებული ძალები	127 049	127 049	0	107 484	107 484	0	114 746	114 746	0
704	ეკონომიკური საქმიანობა	4 673 176	4 673 176	0	9 290 746	9 290 746	0	7 695 656	7 695 656	0
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	9 948	9 948	0	2 125	2 125	0	0	0	0
70421	სოფლის მეურნეობა	9 948	9 948	0	2 125	2 125	0	0	0	0
7045	ტრანსპორტი	4 441 254	4 441 254	0	9 090 871	9 090 871	0	7 695 656	7 695 656	0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	4 441 254	4 441 254	0	9 090 871	9 090 871	0	7 695 656	7 695 656	0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	221 974	221 974	0	197 750	197 750	0	0	0	0

705	გარემოს დაცვა	3 535 950	3 535 950	0	5 160 415	5 160 415	0	2 320 225	2 320 225	0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	1 486 539	1 486 539	0	2 897 135	2 897 135	0	1 969 704	1 969 704	0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	2 049 411	2 049 411	0	2 263 280	2 263 280	0	350 521	350 521	0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	12 012 940	10 792 276	1 220 664	8 987 465	8 727 029	260 436	7 901 336	7 901 336	0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	2 264 639	2 264 639	0	1 499 941	1 499 941	0	1 524 835	1 524 835	0
7063	წყალმომარაგება	7 275 552	7 275 552	0	5 797 838	5 797 838	0	5 559 936	5 559 936	0
7064	გარე განათება	699 321	699 321	0	838 500	838 500	0	525 000	525 000	0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1 773 429	552 764	1 220 664	851 186	590 750	260 436	291 565	291 565	0
707	ჯანმრთელობის დაცვა	218 729	218 729	0	526 355	526 355	0	594 173	594 173	0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	218 729	218 729	0	526 355	526 355	0	594 173	594 173	0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	2 374 431	2 374 431	0	1 840 486	1 840 486	0	1 098 828	1 098 828	0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1 432 187	1 432 187	0	985 927	985 927	0	379 618	379 618	0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	805 691	805 691	0	736 110	736 110	0	719 210	719 210	0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	0	0	0	0	0	0	0	0	0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	136 553	136 553	0	118 449	118 449	0	0	0	0
709	განათლება	5 145 447	5 145 447	0	4 993 153	4 993 153	0	4 356 218	4 356 218	0
7091	სკოლამდელი აღზრდა	2 232 246	2 232 246	0	2 560 000	2 560 000	0	2 951 251	2 951 251	0
7092	ზოგადი განათლება	0	0	0	0	0	0	0	0	0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	0	0	0	0	0	0	0	0	0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	2 913 202	2 913 202	0	2 433 153	2 433 153	0	1 404 967	1 404 967	0
710	სოციალური დაცვა	1 962 409	1 962 409	0	485 867	485 867	0	468 529	468 529	0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	132 750	132 750	0	190 617	190 617	0	208 629	208 629	0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	1 829 659	1 829 659	0	295 250	295 250	0	259 900	259 900	0
	მთლიანი ხარჯები	33 280 196	32 059 531	1 220 664	34 005 057	33 744 621	260 436	27 622 345	27 622 345	0

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 147 735 ლარის ოდენობით;

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება - (-663 946) ლარის ოდენობით.

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება (-811681) ლარის ოდენობით.

მუხლი 10. ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 100 000 ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის და ჯანდაცვის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. სპორტული, კულტურული ღონისძიებები

სპორტულ, კულტურულ, პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

II

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

1.1 . სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური (პროგრამული კოდი 02 01)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ქობულეთის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა და რეზერვისტთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირებისა და გაწვევებთან დაკავშირებული ხარჯების უზრუნველყოფა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება წყალმომარაგებისა და კანალიზაციის

რეაბილიტაცია, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1. საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებულ რეაბილიტირებულ ქუჩებში გადაადგილების უსაფრთხოებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირება, მგზავრთა მუნიციპალური ტრანსპორტით გადაადგილების უზრუნველყოფა, გზებზე უსაფრთხო გარემოს შექმნა, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ჩამოსული ტურისტებისათვის მიმზიდველი და კომფორტული გარემოს შექმნას და ქალაქის იერსახის გაუმჯობესებას.

2.1.1. ქუჩების, ქუჩებს შორის გადასასვლელების (მათ შორის ტროტუარებისა და ბორდიურების) კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 01 01) .

ქვეპროგრამა ითვალისწინებს საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებს ქალაქ ქობულეთში შიდა საქალაქო ქუჩების და ტროტუარების მოწყობას, ქუჩების მოასფალტებას, დეკორატიული ფილებით მოპირკეთებისა და სანიაღვრე სისტემის მოწესრიგების სამუშაოებს. კერძოდ დაგეგმილია: ქ. ქობულეთში, რუსთაველის ქუჩის მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობა (II ეტაპი) ამ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. ქობულეთში რუსთაველის ქუჩაზე ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა, საჯარო სკოლებთან და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებთან დამონტაჟდება სიჩქარის შემზღვევადი ბარიერი და მოეწყობა ვიბრო ხაზები. ასევე დაგეგმილია გელაურის უბნის (აჭარის ქუჩა; თხილაიშვილის ქუჩა; წერეთლის ქუჩა) კეთილმოწყობა, რომლის ფარგლებში მოხდება აჭარის, თხილაიშვილის და წერეთლის ქუჩების მოწესრიგების სამუშაოები, კერძოდ: მოწესრიგდება სანიაღვრე სისტემა; ტროტუარები და სავალი გზის სავალი ნაწილი მოპირკეთდება დეკორატიული ფილებით, შეიქმნება ხელმისაწვდომი გარემო შშმ პირებისათვის. ასევე დაგეგმილია ქ. ქობულეთში, კარიერის უბნის კეთილმოწყობა (მე-3 უბანი) რომლის ფარგლებში დაგეგმილია კარიერის მე-3 უბნის კეთილმოწყობის სამუშაოები, რომელიც ითვალისწინებს სანიაღვრე სისტემის მოწესრიგებას; ტროტუარების და გზის სავალი ნაწილის დეკორატიული ფილებით და ასფალტო ბეტონის საფარით მოწყობას. მოეწყობა ჩასასვლელი პანდუსები და უსინათლოებისათვის სპეციალური ბილიკი. ასევე დაგეგმილია ქ. ქობულეთში „მტს“ უბნის (კლდიაშვილის ქუჩა; ქიაჩელის ქუჩა; ქიაჩელის შესახვევი; კლდიაშვილის შესახვევი; მესხიძის შესახვევი) კეთილმოწყობა, ქვეპროგრამა ითვალისწინებს სანიაღვრე სისტემის მოწესრიგებას; ტროტუარების მოპირკეთებას დეკორატიული ფილებით და გზის სავალი ნაწილის ასფალტო ბეტონის საფარით მოწყობას. დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოკამერების შექმნა/მონტაჟი, რომლის ფარგლებშიც ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსდება სათვალთვალო ვიდეო კამერები.

2.1.2. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტით (ავტობუსებით) მომსახურების პროგრამა (პროგრამული კოდი 03 01 06)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (თემებში, სოფლებსა და ქალაქის ტერიტორიაზე) და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მგზავრთა გადაადგილების უზრუნველსაყოფად მუნიციპალური ტრანსპორტით, კერძოდ ავტობუსებით მომსახურების ხარჯების თანადაფინანსებას. აღნიშნული ქვეპროგრამა განხორციელდება შპს “ქობულეთის ტრანსრეგულირების“ მიერ.

2.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მოწესრიგების სამუშაოები, მუნიციპალიტეტის გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ყველა ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიების დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა, წყალმომარაგების უზრუნველყოფისა და მოსახლეობაზე სასმელი წყლის მიწოდების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდება წყალსადენის სათავე ნაგებობების მშენებლობა და რეაბილიტაცია, მოწესრიგდება საკანალიზაციო სისტემები.

2.2.1. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების და ეზოების მოწესრიგების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქეთევან წამებულის N1 -ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა: გარდამავალი პროექტის ფარგლებში განხორციელდება დაბა ოჩხამურში, ქეთევან წამებულის N1 -ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ამორტიზირებული შენობის დემონტაჟის და ახალი შენობის მშენებლობის სამუშაოები.

2.2.2. გარე განათების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 02)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის, გარე განათების ქსელის განვითარებისა და არსებულის სრულყოფისათვის, ენერჯის დაზოგვისაკენ მიმართული ღონისძიებების დანერგვა და განათების თანამედროვე წყაროების, ეფექტური ოპტიკური სისტემების, კონსტრუქციებისა და მასალების გამოყენების დანერგვა. წლის განმავლობაში ღამით ქალაქში უსაფრთხოებისთვის ხელის შეწყობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის 4900 ზე მეტი წერტილის ექსპლოატაცია, მოხმარებული ელექტროენერჯის ანაზღაურება. რაც ხელს შეუწყობს რეაბილიტირებულ გზებზე და შიდა კვარტალურ ეზოებში ქალაქის იერსახის შენარჩუნებას. ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში მოეწყობა ეკონომიური გარე განათების წერტილები ჩაქვის ცენტრიდან სასტუმრო ოაზისამდე და განხორციელდება გარე განათების სამუშაოები მის მიმდებარე ტერიტორიებზეც.

2.2.3 . მუნიციპალიტეტის სანიტარული დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03)

მუნიციპალიტეტის ერთერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მაწანწალა ცხოველების დაჭერა, ტრანსპორტირება და დაჭერილი ცხოველების გაუნებლყოფა. გათვალისწინებულია ლითონის, გალვანიზირებული ნაგავშემკრები კონტეინერების ორასი ერთეულის შეძენა, ასევე გათვალისწინებულია მდინარეების ზედაპირზე მოტივტივე ნარჩენების დამჭერი მოწყობილობის სამონტაჟო სამუშაოები. გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, სისუფთავის და წესრიგის დაცვა, რასაც განხორციელებს ა(ა)იპ ქობულეთის სანდასუფთავება. ხარჯს.ქვეპროგრამა დააფინანსებს 2017 წლის დაუფარავ ვალდებულებასაც. დაგეგმილია ჩოლოქის დასახლებაში არსებული ნაგავსაყრელისა და მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია.

2.2.4. გამწვანების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში 2018 წელს გაგრძელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მწვანე საფარის და მათ შორის მარადმწვანე დეკორატიული მცენარეების მოვლა-პატრონობის სამუშაოები, რასაც ახორციელებს ა(ა)იპ ქობულეთის გამწვანება, პროგრამა დააფინანსებს მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ხარჯს.

2.2.5. წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მოსახლეობისათვის და არსებული ორგანიზაციებისათვის ეკოლოგიურად სუფთა, სასმელი წყლის 24-საათიანი მიწოდების რეჟიმით უზრუნველყოფა. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩაისუბანში წყალსადენის სისტემის (მე-3 ეტაპი), პროექტი გულისხმობს წყლის სათავე ნაგებობის, რეზერვუარების, შიდა მაგისტრალისა და დაქსელვის სამუშაოების განხორციელებას. პროექტის მესამე ეტაპის ფარგლებში 2018 წელს განხორციელდება დარჩენილი შიდა მაგისტრალური ხაზებისა და დაქსელვის სამუშაოები, რითაც დასრულდება სოფ. ჩაისუბანში წყალსადენის სისტემის მოწყობა. აღნიშნული პროექტის დასრულების შემდეგ წყლით უზრუნველყოფილი იქნება 800-მდე ოჯახი. პროექტის - სოფ. მუხაესტატეს წყალსადენის სისტემის მოწყობა ფარგლებში მოხდება არსებული ამორტიზირებული წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია: მოეწყობა მაგისტრალური ხაზები, რომლის დაერთება მოხდება არსებულ რეზერვუარზე. სასმელი წყლით მომარაგება გაუუმჯობესდება 500-მდე ოჯახს. პროექტი- სოფ.

გვარაში, ხუცუბანში, ლედვაში (სკურა) და სოფელ სამებაში არსებულ წყალსადენებზე წყლის დებეტის გაზრდის სამუშაოების ფარგლებში გათვალისწინებულია პრობლემის აღმოსაფხვრელად სოფ. გვარაში, ხუცუბანში, ლედვაში (სკურა) წყლის დებეტის გაზრდის მიზნით დამატებით ჯაბურღილების მოწყობა, ხოლო სოფელ სამებაში მოძიებული იქნა ახალი წყლის რესურსი, რაზედაც მოხდება არსებული მაგისტრალის დაერთება. ქვეპროექტი- „სოფელ ქაქუთში, სოფელ შუაღელში, სოფელ ქვედა აჭყვასა და სოფელ ზედა აჭყვასი წყალსადენის სისტემების საფილტრი ნაგებობების მოწყობისა და სოფელ ხუცუბანში წყალსადენის სისტემის რეზერვუარის რეაბილიტაცია,-“ ფარგლებში აშენდება წყალსადენის სისტემების საფილტრი ნაგებობები, რომლებიც უზრუნველყოფს წყლის გაფილტვრას და სუფთა წყლით მომარაგებას, სოფ. ხუცუბანში არსებული რეზერვუარის რეაბილიტაციის. ქვეპროგრამით დაგეგმილია აჭარის წყლის აღიანსის " საწესდებო კაპიტალის შენატანი. ქვეპროგრამა - სპეც. ტექნიკის შეძენა (1 ერთეული „კროტი“) - ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში შპს „ქობულეთის წყალი“-ს საჭიროებისათვის, სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემის გაწმენდითი სამუშაოების განხორციელებისათვის შეძენილი იქნება 1 ერთეული არხმწმენდის („კროტი“) შეძენას. ქვეპროგრამა - სოფ. ბობოყვათში წყალსადენის სათავე ნაგებობისა და ცენტრალური მაგისტრალის მოწყობის სამუშაოები“- ითვალისწინებს სოფ. ბობოყვათში წყლის მაგისტრალური და შიდა მაგისტრალური ხაზების შეცვლას, ასევე სათავე ნაგებობის მოწესრიგებას, მოხდება თანამედროვე ტიპის წყლის გაუსნებელყოფის დანადგარის მონტაჟი.

ქვეპროგრამით გრძელდება ა(ა)იპ ქობულეთის სოფლის წყალის ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა აუცილებელ ხარჯის დაფინანსება, რომელიც მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფს სოფლების წყლის სათავე ნაგებობებისა და შიდა გაყვანილობის მიმდინარე რემონტის სამუშაოების განხორციელებას, ამორტიზირებული წყლის მილების პერიოდულ შეცვლას, რაც პირველ რიგში დაკავშირებულია სოფლების ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებასთან და მოსახლეობის ცხოვრების კრიტერიუმების ცვლწლებასთან. ქვეპროგრამა დააფინანსებს ა(ა)იპ სოფლის წყალის 2017 წლის დაუფარავ ვალდებულებასაც. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია შპს „ქობულეთის წყალის“ სუბსიდირება მოსახლეობის სასმელი წყლის მიწოდებისათვის მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის გასული წლის ვალდებულების ხარჯის დაფარვის მიზნით.

2.2.6. სანიაღვრე არხებისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა- რეაბილიტაცია და მოვლა- შენახვა (პროგრამული კოდი 03 02 06)

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია ქობულეთში მე-3 სატუმბო სადგურთან ცენტრალური საკანალიზაციო მაგისტრალური ხაზის და გელაურის დასახლების საკანალიზაციო მაგისტრალური ხაზის რეაბილიტაციის სამუშაოები. ქობულეთში მე-3 სატუმბო სადგურის მიმდებარედ მაგისტრალური ხაზი 12 მ-იანი მონაკვეთი დაზიანებულია, რომელიც ვერ უზრუნველყოფს გამტარიანობას, პრობლემის მოგვარება დროულად არის საჭირო, რომ არ მოხდეს ქალაქის ცენტრალურ ადგილებში ფეკალების ამოსვლა. გელაურში პუშკინის ქუჩაზე არსებული მინი სატუმბო სადგურიდან ცენტრალურ სატუმბო სადგურამდე არსებული წნევითი ხაზი ვერ უზრუნველყოფს გამტარიანობას, ამისთვის საჭიროა მაგისტრალური წნევითი ხაზის შეცვლა უფრო დიდი დიამეტრის მილით.

2.2.7. უკანონო მიშენებებისა და ჯიხურების დემონტაჟი (პროგრამული კოდი 03 02 07)

მუნიციპალიტეტის იერ-სახის შენარჩუნების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია უსახური, ამორტიზირებული ნაგებობების და უკანონო მიშენებების დემონტაჟი.

2.3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობითი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის შენობა-ნაგებობების სარემონტო და კეთილმოწყობითი სამუშაოები.

2.3.1. მუნიციპალიტეტის შენობა-ნაგებობების სარემონტო და კეთილმოწყობითი სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება: ქალაქ ქობულეთში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის შენობის მშენებლობა, ქვეპროექტით დაგეგმილია ქალაქ ქობულეთში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის შენობის მშენებლობის დასრულება, პროექტი გულისხმობს თანამედროვე ტიპის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის შენობის მშენებლობას.

2.3.2. დაბა ჩაქვი, აღმაშენებლის ქუჩა N9-32-34-36-38-25-45-62-64 ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები ჰკ.0+00-ჰკ.4+90 (პროგრამული კოდი 03 03 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება: დაბა ჩაქვი, აღმაშენებლის ქუჩა N9-32-34-36-38-25-45-62-64 ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები ჰკ.0+00-ჰკ.4+90, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია დაბა ჩაქვში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების მოწესრიგების სამუშაოები: ეზოები, ტროტუარები მოპირკეთდება დეკორატიული ფილებით, მოეწყობა სანიაღვრე სისტემა, ძველი გარე განათების სისტემა შეიცვლება ახალი დეკორატიული გარე განათებით, ეზოებში მოეწყობა ფანჯატური; განთავსდება საპარკე სკამები და საბავშვო ატრაქციონები.

2.4. საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემენა (პროგრამული კოდი 03 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემენა.

2.5. საცხოვრებელი ბინების სადენინფექციო ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 06)

მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ინფექციური დაავადებების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით აუცილებელია ისეთი პრევენციული ღონისძიების გატარება როგორცაა სადერატოზაციო და სადენინფექციო სამუშაოების ჩატარება.

2.6. აზომვითი ნახაზების შედგენის ხარჯი (პროგრამული კოდი 03 07)

მუნიციპალიტეტში არსებული შენობა-ნაგებობების, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების, ხაზობრივ ნაგებობების აზომვითი ნახაზების მომზადება და მისი შემდგომი მუნიციპალურ საკუთრებად დარეგისტრირება ხელს შეუწყობს არსებული ქონების მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში განკარგვას. პროგრამა დააფინანსებს 2017 წლის დაუფარავ ვალდებულებასაც.

2.7. სხვადასხვა სანიტარულ-ჰიგიენური და ლაბორატორიული გამოკვლევების ხარჯი (პროგრამული კოდი 03 08)

ტურიტული სეზონის დადგომამდე და სეზონის განმავლობაში აუცილებელი ხდება, ტურისტულ ობიექტებში გარემო ზემოქმედების ფაქტორებისა და მიკროკლიმატის მაჩვენებლების, კვების ბლოკების მდგომარეობის მოქმედ სანიტარულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებშიც განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების ფუნქციონირება.

3.1. სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს სკოლამდელი განათლება წარმოადგენს რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია.

3.1.1. ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01 01)

მუნიციპალიტეტში იფუნქციონირებს საბავშვო ბაღები, სადაც სკოლამდელ აღზრდა-განათლებას მიიღებს 2800 ზე მეტი ბავშვი. მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით ქვეპროგრამა მოიცავს ბაღების სასწავლო-

აღმზრდელი მომსახურების და კვებითი მომსახურების ხარჯების სრულ დაფინანსებას და ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა დანარჩენ ხარჯს. ქვეპროგრამა დააფინანსებს 2017 წლის დაუფარავ ვალდებულებასაც.

3.1.2. საბავშვო ბაღების მშენებლობა, რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 04 01 02)

პროგრამით გათვალისწინებულია ბაღების განტვირთვის მიზნით ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა: ქვეპროგრამით 2018 წელს დასრულდება სოფელ წყავროკაში ახალი საბავშვო ბაღის მოწყობა - პროექტის ფარგლებში მოეწყობა თანამედროვე ტიპის 2 სართულიანი საბავშვო ბაღი, მოეწყობა სათამაშო ოთახები, საძინებლები, დარბაზი, სველი წერტილებით. პროგრამის ფარგლებში ბაღის ეზოს მოპირკეთდება დეკორატიული ფილებით და მწვანე ზოლით, სადაც განთავსდება საბავშვო ატრაქციონები. ქვეპროგრამით დასრულდება სოფელ აწყვისთავისა და სოფელ ჩაისუბანში საბავშვო ბაღის მოწყობა.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შესძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

4. .1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

2018 წლის განმავლობაში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება:

- სარაგბო საკლუბო გუნდი „კონტო“ მატერიალური მხარდაჭერის მიზნით.
- ა(ა)იპ "ფრენბურთის, ხელბურთის, კალაძურთის სათამაშო სახეობების სპორტული კლუბი-ქობულეთი".
- ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა.

4.1.1. ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 01)

სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი წრეები: თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო, ძალოსნობა, ველოსპორტი, რაგბი, ჭადრაკი, ვებხურთი (გოგონათა და ჭაბუკთა). ტარდება შიდა სასკოლო და ამხანაგური შეხვედრები. წლის განმავლობაში სკოლის ობიექტებში მოსწავლეთა მომზადების ღონის შემოწმების და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და საქართველოს ეროვნულ ნაკრებ გუნდებში წარმატებული სპორტსმენების გამოვლენის მიზნით სასპორტო სკოლა მონაწილეობას ღებულობს საოლიმპიკო და რესპუბლიკურ სპორტულ ღონისძიებებში.

4.1.2. სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება-პოპულარიზაცია და ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ უზრუნველყონ სპორტსმენების განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერ სპორტსმენთა წახალისება. გაგრძელდება სხვადასხვა სპორტული პროექტების მხარდაჭერაც.

4.1.3. სპორტული საკლუბო გუნდის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 03)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მხარდაჭერის ფარგლებში სარაგბო კლუბის დაფინანსებას. კერძოდ სარაგბო კლუბი "პონტოს" მხარდაჭერის პროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირების დაფინანსებას, სპორტულ თამაშებში მონაწილეობის ხელშეწყობას სხვადასხვა მიმართულებებით, აგრეთვე გუნდის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.

4.1.4. ა(ა)იპ "ფრენზურთის, ხელზურთის, კალათურთის სათამაშო სახეობების სპორტული კლუბი-ქობულეთი" (პროგრამული კოდი 05 01 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ხარჯების დაფინანსება.

4.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

4.2.1. ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ქობულეთის სახელოვნებო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01)

მუნიციპალიტეტი დააფინანსებს სახელოვნებო სკოლის ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა აუცილებელ ხარჯს. სადაც გაერთიანებულია სოფლების ხუცუბნისა და ბობოყვათის, დაბა ჩაქვისა და ქ. ქობულეთის სკოლები.

4.2.2. ა(ა)იპ ქობულეთის კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 02)

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს კულტურის ცენტრი რომელიც შედგება საბიბლიოთეკო და მოსწავლე-ახალგაზრდობასთან მუშაობის განყოფილება, მასში გაერთიანებულია სასოფლო კულტურული დაწესებულებები, შესაბამისად განყოფილებებში ფუნქციონირებს ეკოტურიზმის, კულტურული მემკვიდრეობის, ახალგაზრდობის თავისუფალი დროის ორგანიზების, ხალხური რეწვის, ლიტერატურულ-თეატრალური, რიტმული ცეკვების „ახალი რიტმები“ ჯგუფები და ქორეოგრაფიული ანსამბლი „საუნჯე“. ახალგაზრდული ანსამბლი ახალი ხმები და სასოფლო კლუბებთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები, სადაც სულ გაერთიანებულია ორასამდე ახალგაზრდა. პროგრამა აფინანსებს კულტურის ცენტრის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.

4.2.3. ა(ა)იპ ქობულეთის პარკი (პროგრამული კოდი 05 02 03)

მუნიციპალიტეტი საკუთრებაში არსებული პარკების მიმდინარე მოვლა-შენახვისა და საკურორტო ქალაქის იერსახის შენარჩუნების მიზნით დააფინანსებს ა(ა)იპ ქობულეთის პარკის ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ხარჯს. ხარჯს ქვეპროგრამა დააფინანსებს 2017 წლის დაუფარავ ვალდებულებასაც.

4.2.4. გურამ თამაზაშვილის სახელობის ა(ა)იპ ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი "მხედრული" (პროგრამული კოდი 05 02 04)

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი სადაც ახალგაზრდა თაობებში კულტურული აღზრდისა და ეროვნული ცეკვების შენარჩუნების მიზნით მუნიციპალიტეტი დააფინანსებს ანსამბლის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯს.

4.2.5. კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 05)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის, მხარის ღირსეულად წარმოჩენის მიზნით ადგილობრივი და მუნიციპალიტეტის სტუმრების დაინტერესების, სანახაობებისა და წარმოდგენების მიზნით

გამართება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები როგორცაა საახალწლო და სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი კულტურული ღონისძიებები, კერძოდ: სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დღეების აღნიშვნა, სახალხო დღესასწაულები და სხვა. პროგრამით განხორციელდება ტურიზმის კვირეულისადმი მიძღვნილი სხვადასხვა ღონისძიებები, მოხდება ტურისტული სარეკლამო მასალების მომზადება, პროგრამით შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ფესტივალებში, კონკურსებსა და პროექტებში შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობის ხელშეწყობა, ხელი შეეწყობა ცნობილი და შემოქმედი ადამიანების პოპულარიზაციას, შესაძლებელი გახდება გენდერული თანასწორობის დღის, შ.შ.მ. პირების უფლებათა დაცვის დღის და სხვადასხვა პროექტების მხარდაჭერა.

4.2.6. ა(ა)იპ ქობულეთის მუზეუმი (პროგრამული კოდი 05 02 07)

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუზეუმი, რაც ემსახურება ქობულეთის როგორც საკურორტო და ისტორიული მნიშვნელობის ქალაქის განვითარებასა და პოპულარიზებას. მუზეუმში დაცულია იშვიათი ექსპონატები რომლებიც ადგილობრივი ოსტატობის ნიმუშს წარმოადგენს, საგამოფენო დარბაზი წლის განმავლობაში მასპინძლობს უწევს არამარტო ადგილობრივ არამედ უცხოელ დამთვალიერებლებსაც, ყოველივე აქედან გამომდინარე მუნიციპალიტეტი აფინანსებს მუზეუმის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ხარჯს.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. სოციალური სფერო დაფუძნებულია ბენეფიციართა მიზნობრივ დახმარებებზე და პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები უზრუნველყოფენ მის შემდგომ დახვეწას, რათა გაიზარდოს პროგრამების სიზუსტე და დახმარების ეფექტიანობა. ისევ იმოქმედებს პრინციპი, რომ მუნიციპალიტეტი დაეხმაროს იმ ადამიანებს, რომლებსაც ეს ყველაზე მეტად ესაჭიროება. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის უფასო სასადილოში ცხელი საკვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული ფონის გაჯანსაღებისათვის მიმართული აქციების განხორციელებას, მათთვის მატერიალური მხარდაჭერას და სტიმულის მიცემას, დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიურ მატერიალურ დახმარებას.

5.1 ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, სხვადასხვა დაავადების მკურნალობის ხარჯების თანადაფინანსება.

5.1.1. ქრონიკულად პროგრესირებადი დაავადებების მედიკამენტოზური დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 01)

